



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 418/ს  
18/08/2023

418-21-4-202308181755



**ქ. რუსთავში, მშვიდობის ქ. №2-ში სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიური საწარმოს  
ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ბეტონის ქარხნის მოწყობა) სკრინინგის  
გადაწყვეტილების შესახებ**

სს „რუსთავის აზოტის“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. რუსთავში, მშვიდობის ქ. №2-ში არსებული ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ბეტონის ქარხნის მოწყობა) სკრინინგის განცხადება.

2021 წლის 19 თებერვალს სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (წარმადობის გაზრდა; სახიფათო ნარჩენების ინსინერაცია; ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა; სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება; 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა) გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-224).

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სს „რუსთავის აზოტის“ საწარმო განთავსებულია ქ. რუსთავში, მშვიდობის ქ. №2-ში კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 02.07.01.827; ფართობი 1699965 მ<sup>2</sup>). ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი - სოფ. თაზაქენდი დაშორებულია დაახლოებით 1740 მეტრით. საწარმოს ტერიტორიას უშუალოდ ესაზღვრება შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯიას“ ქიმიური საწარმო და შპს „ვირტუოზი“. საწარმოდან დაახლოებით 300 მეტრში მდებარეობს შპს „ბაზალტ ფაიფერი“, ხოლო 600 მეტრში - შპს „ფილიმასკა ჯი“. საწარმოდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, დაახლოებით 800 მეტრში განთავსებულია შპს „რუსთავის ფოლადის“ ფოლადსადნობი საწარმო, ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, იმავე მანძილით დაშორებულია ყოფილი ქიმიური ბოჭკოს ქარხანა, სამხრეთით, დაახლოებით 1200 მეტრში მდებარეობს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის ქარხანა და ასევე, თითქმის იმავე მანძილით არის დაშორებული შპს „ჯეოსთილის“ საწარმო. ობიექტიდან 662 მეტრში განთავსებულია შპს „მეტალ ქონსტრაქშენ ჯორჯიას“ ნავთობბაზა. საწარმოს ადმინისტრაციული კორპუსიდან დაახლოებით 550 მეტრში გადის რუსთავი-ჯანდარას ავტომაგისტრალი. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. მტკვარი მიედინება საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 3 კმ-ში, ხოლო - საწარმოს სამხრეთით, დაახლოებით 400 მეტრში მდებარეობს ე.წ. მარის არხი. საწარმოს ტერიტორიაზე არის რამდენიმე გასხვისებული საამქრო, რომელთა მფლობელები არიან შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“, შპს „ვირტუოზი“ და შპს „ოფიცინა“. შპს „ვირტუოზმა“, ზემოაღნიშნული ტერიტორია შეისყიდა ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის მიზნით, თუმცა, საწარმოს, გასხვისების მომენტიდან დღემდე, არ უმუშავია. შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“

აწარმოებს მანგანუმის ოქსიდს და ასევე გეგმავს გოგირდმჟავას და მანგანუმის სულფატის წარმოებას (შპს „სულფეკო“), ხოლო შპს „ოფიცინა“ აწარმოებს გამოხდილ წყალს.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ბლოკის საწარმო

და პანდუსი, რომელიც არ ფუნქციონირებს. დოკუმენტის თანახმად, ბლოკის საწარმოს საპროექტო წარმადობა შეადგენს 10 ტ/სთ-ს, ხოლო სამუშაო დღეების რაოდენობად განსაზღვრულია წელიწადში 335 დღე, დღე-ღამეში 8 საათი (26 800 ტ/წელ). ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, აღნიშნული ბლოკის საწარმოს ნაცვლად, იმავე ტერიტორიაზე, დაგეგმილია ბეტონის ქარხნის მოწყობა (GPS კოორდინატები: X-504988, Y-4597403; X-505025, Y-4697400; X-505016, Y-4597351; X-504983, Y-4597356). ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საპროექტო ტერიტორია სწორია და დაფარულია ბალახოვანი საფარით. მიმდებარე ტერიტორიაზე წარმოდგენილია რამდენიმე თუთის ხე და ვაზის ტალავერი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული ბეტონის ქარხნის შემადგენლობაში შევა შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტები: 4 ცალი ინერტული მასალის ბუნკერი (თითოეული 20 მ<sup>3</sup>), ლენტური ტრანსპორტიორი, შემრევი აგრეგატი (1 მ<sup>3</sup>) და 2 ცალი ცემენტის სილოსი (თითოეული 60 ტ). ბეტონის დასამზადებლად გამოსაყენებელი საწარმოო მასალები (ცემენტი, ინერტული მასალა) ტერიტორიაზე შემოვა მზა სახით, რომელსაც კომპანია შეიძენს ახლომდებარე, რუსთავის ტერიტორიაზე არსებული საწარმოებიდან. ობიექტზე ცემენტშიდით შემოტანილი ცემენტი ჩაიტვირთება სილოსებში, ხოლო ავტოთვითმცლელით შემოტანილი ინერტული მასალა (ქვიშა-ხრეში) პირდაპირ ჩაიყრება ინერტული მასალის ბუნკერებში. ბუნკერებიდან ინერტული მასალა, ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით, გადავა შემრევი აგრეგატში, სადაც დახურული ხრახნული კონვეიერით დაემატება ცემენტი და წყალი. შერევის შემდეგ ბეტონი ჩაიტვირთება ბეტონშიდში. პროცესი გაიმართება ავტომატურად, სამართავი ჯიხურიდან, პულტის მეშვეობით. ბეტონის ქარხნის ყველა აგრეგატი იმუშავებს ელექტროენერჯის წყაროზე. საწარმო იმუშავებს წელიწადში 42 დღე, დღე-ღამეში 8 საათი და შესაძლებლობა ექნება აწარმოოს 10 000 მ<sup>3</sup> ბეტონის ნარევი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი ბეტონის ქარხნის მოწყობა არ ითვალისწინებს მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას. საწყის ეტაპზე მოხდება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ბლოკის საწარმოს დემონტაჟი, ტერიტორიის დასუფთავდება და ბეტონის ქარხნის შემადგენელი ელემენტებისათვის ბეტონის საძირკვლის/სადგამის მოწყობა. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში საპროექტო ტერიტორიაზე არსებული პანდუსის დაშლა გათვალისწინებული არ არის და მისი გამოყენება მოხდება ბეტონის ქარხნისთვის - ბუნკერებში ქვიშა-ხრეშის ჩასატვირთად. ბეტონის ქარხნისა და მისი შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 1-2 თვეს და გამოყენებული იქნება ერთი სატვირთო და ერთი ამწე.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ბეტონის ქარხნის მოწყობის პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება მოსალოდნელია სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის, სამშენებლო მასალების შემოზიდვისა და სამშენებლო სამუშაოების შედეგად. მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია მცირე რაოდენობით მტვრის და ტექნიკის ძრავის

მუშაობის შედეგად საწვავის წვის პროდუქტების ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა. აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე სამშენებლო მასალების შემოზიდვა განხორციელდება ძირითადი საავტომობილო გზით, რისთვისაც შესრულდება დაახლოებით 10-12 სატრანსპორტო ოპერაცია. ამასთან, ბეტონის ქარხნის მოწყობის პროცესში ტერიტორიაზე არ იქნება სტაციონარული გაფრქვევის წყაროები და ერთდროულად იმუშავებს მხოლოდ ერთი ან ორი ტექნიკა (სატვირთო და ამწე). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობისა და გამოსაყენებელი ტექნიკის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო. რაც შეეხება ბეტონის ქარხნის ექსპლუატაციის ეტაპს, აღსანიშნავია, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ ბლოკის საწარმოს გააჩნია რამდენიმე ემისიის წყარო: სამსხვრევი აგრეგატი, ბლოკის დამამზადებელი აგრეგატი, ბუნკერში ჩატვირთვის და მასალის დასაწყობების ადგილები. აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მტვრის რაოდენობა შეადგენს 0,374 ტ/წელ-ს (0,05 გ/წმ). ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ბლოკის საწარმოს შემთხვევაში, უნდა განხორციელდებოდეს ქიმიური საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ძველი შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და მიღებული მასალის ბლოკის შემადგენელ საწარმოში მსხვრევა, რაც თავის მხრივ, მტვრისა და ხმაურის ემისიის წყაროა. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ბლოკის საწარმოს ნაცვლად დაგეგმილ ბეტონის ქარხანაში გათვალისწინებულია ბლოკის საწარმოს მსგავსი ტექნოლოგიური პროცესი და მასალები (ცემენტი, ინერტული მასალა, წყალი), შესაბამისად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერების სახეობრივ ცვლილებას ადგილი არ ექნება, თუმცა, გასათვალისწინებელია, ის გარემოება, რომ ბეტონის ქარხნის ტექნოლოგიურ პროცესში საჭირო ინერტული მასალა ტერიტორიაზე შეიზიდება უახლოესი საწარმოებიდან, მზა სახით და მის ადგილზე მსხვრევას ადგილი არ ექნება. ამასთან, ბლოკის ქარხნის შემადგენელი ცემენტის სილოსები აღჭურვილი იქნება 99.8%-იანი ეფექტურობის ქსოვილოვანი ფილტრებით, რომლებიც უზრუნველყოფს ცემენტის ჩატვირთვისას გაფრქვეული ცემენტის მტვრის ნაწილაკებისაგან გასუფთავებას და დაჭერას. გარდა ამისა, დოკუმენტის თანახმად, ბლოკის საწარმოს საპროექტო წარმადობა შეადგენდა 10 ტ/სთ-ს, ხოლო სამუშაო დღეების რაოდენობად განსაზღვრული იყო წელიწადში 335 დღე, დღე-ღამეში 8 საათი (26 800 ტ/წელ), ხოლო ბეტონის ქარხნის წარმადობა შეადგენს წელიწადში 10 000 მ<sup>3</sup>-ს და სამუშაო რეჟიმად განსაზღვრულია წელიწადში 42 დღე, დღე-ღამეში 8 საათი (333.3 სთ/წელ). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ბეტონის ქარხნის ექსპლუატაციით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება მნიშვნელოვნად მცირდება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ბეტონის ქარხნისა და მისი შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობის პროცესში, სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობის, გამოსაყენებელი ტექნიკისა და უახლოეს დასახლებულ პუნქტთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, აღსანიშნავია, რომ ბეტონის ქარხნის ტექნოლოგიური პროცესისათვის საჭირო ინერტული მასალა შემოიზიდება უახლოესი საწარმოებიდან, მზა სახით და ობიექტზე არ მოხდება მისი მსხვრევა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ბლოკის საწარმოს შემთხვევაში, უნდა განხორციელდებოდეს ქიმიური საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ძველი შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და მიღებული მასალის ბლოკის ქარხანაში მსხვრევა, რაც თავის მხრივ, ხმაურის ემისიის დამატებითი წყაროა. აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ ექსპლუატაციის პირობების

ცვლილებით გათვალისწინებული ბეტონის ქარხნის სამუშაო დღეთა რაოდენობა შემცირდება დაახლოებით 8-ჯერ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი ბეტონის ქარხნის ფუნქციონირების პროცესში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება მნიშვნელოვნად შემცირდება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში წყლის გამოყენება ხდება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო დანიშნულებით, რისთვისაც წყალმომარაგება ხორციელდება ცენტრალური წყალმომარაგების სისტემიდან. ობიექტზე საწარმოო ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება, ხოლო სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები დაერთებულია ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

სკრინინგის განცხადების თანახმად, როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოს ტერიტორიას ესაზღვრება სხვადასხვა პროფილის მქონე ობიექტები. დოკუმენტის მიხედვით, საწარმოს ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება შეფასდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეტაპზე. აღსანიშნავია, რომ შპს „ემ ენ ქემიკალ ჯორჯიას“ და შპს „სულფეკოს“ საწარმოების ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, განსახილველ საწარმოსთან ერთობლივად ფუნქციონირების პირობებში, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული, კუმულაციური ეფექტის მქონე ნივთიერებებიდან განხილულია: აზოტის დიოქსიდი, გოგირდმჟავა, გოგირდის დიოქსიდი, ნახშირჟანგი, შეწონილი ნაწილაკები და არაორგანული მტვერი. ატმოსფერულ ჰაერში, ემისიების მოდელირების ანგარიში შესრულდა სს „რუსთავის აზოტის“, შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯიას“ და შპს „სულფეკოს“ სრული დატვირთვით მუშაობის პირობებში და მიღებული შედეგების მიხედვით, კუმულაციური ეფექტის მქონე მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები არც ნორმირებულ 500 მეტრიან საზღვართან და არც უახლოეს დასახლებულ პუნქტთან არ აჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს. რაც შეეხება ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილ ბეტონის ქარხანას, არსებული ბლოკის საწარმოს მსგავსად, მას მხოლოდ ახასიათებს მტვერის/შეწონილი ნაწილაკების გამოყოფა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა. დოკუმენტის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული ბეტონის ქარხნის ფუნქციონირების პროცესში ადგილი არ ექნება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეტაპზე გაანგარიშებული მტვერის ემისიის ზრდას, ვინაიდან, საწარმოს სილოსებს ექნებათ მაღალი ეფექტურობის გამწმენდი ფილტრები. შესაბამისად, ბეტონის ქარხნის ფუნქციონირება არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების გაზრდასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეტაპზე განხორციელდა ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება და გაანგარიშებული იქნა უახლოეს დასახლებულ პუნქტთან მოსალოდნელი ხმაურის დონეები, რომლის თანახმად, მოსახლეობის ხმაურით შეწუხება არ არის მოსალოდნელი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი ბეტონის ქარხნის შემადგენელი ობიექტები არის თანამედროვე და გამოირჩევა დაბალი ხმაურის ეფექტით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უახლოეს დასახლებულ პუნქტთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ბეტონის ქარხნის ფუნქციონირების ეტაპზე

ხმაურის გავრცელებით გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედების გაზრდას ადგილი არ ექნება.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმო არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიის სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ბეტონის ქარხნის მოწყობა დაგეგმილია საწარმოო ზონაში, სამეწარმეოდ ათვისებულ ტერიტორიაზე, სადაც გავრცელებულია სინანტროპული სახეობები, რომლებიც შეგუებულნი არიან ადამიანის მიერ სახეცვლილ, ტექნოგენურ გარემოში ცხოვრებას. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბეტონის ქარხნის მოწყობა დაგეგმილია არსებული ბლოკის საწარმოს ადგილას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე და ოფიციალურ ვებგვერდზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ბეტონის ქარხნის მოწყობა, საქმიანობის ადგილმდებარეობის, წარმადობისა და უახლოეს დასახლებულ პუნქტთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების გაზრდასთან.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,**

#### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. რუსთავში, მშვიდობის ქ. №2-ში სს „რუსთავის აზოტი“ ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (ბეტონის ქარხნის მოწყობა) არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. სს „რუსთავის აზოტი“ ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს 2021 წლის 19 თებერვლის გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-224) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით;
3. სს „რუსთავის აზოტი“ ვალდებულია ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, უზრუნველყოს განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ სააგენტოსთან შეთანხმება, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
4. სს „რუსთავის აზოტი“ ვალდებულია, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს სააგენტოსთან „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით“ შეთანხმებული გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების, ასევე, აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;

5. სს „რუსთავის აზოტი“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, უზრუნველყოს განახლებული მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება, დაგეგმილი ცვლილებების გათვალისწინებით;
6. სს „რუსთავის აზოტისთვის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2021 წლის 19 თებერვლის გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-224) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
7. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „რუსთავის აზოტს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს ;
8. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „რუსთავის აზოტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
9. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და რუსთავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი  
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

